**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

**ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2601/ს

07/12/2021

2601-11-4-202112071612

**შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"- სთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 6476 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის 4;5;6 პუნქტების, 77-ე მუხლის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 06/12/2021წ. N23601 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) მართვას დაქვემდებარებულ, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის, კაზრეთის სატყეოს N15 კვარტლის N 11 ლიტერში და N17 კვარტლის N5 ლიტერში, სახელმწიფო ტყის 6476 კვ.მ. მიწის ფართობზე (ს/კN80.13.67.151; N80.13.67.152), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N10002084 ლიცენზიით განსაზღვრული წიაღის მოპოვების სამუშაოების (მათ შორის, ამისათვის საჭირო ინფრასტრუტურის მოწყობის) განხორციელების მიზნით, შპს „კავკასიის სამთო ჯგუფს" (ს/კ:404 908 775 შემდგომში - ტყითმოსარგებლე), ლიცენზიის მოქმედების ვადით (2041 წლის 13 ოქტომბრამდე), 21.61 კბ.მ. სხვადასხვა სახეობის ხე-ტყის სპეციალური სარგებლობის ჭრის ნებართვით, მიენიჭოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

2. სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ მიწის ფართობზე, სამუშაოების დაწყებამდე, ტყითმოსარგებლეს გაუფორმოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების ხელშეკრულება, ხოლო ქვემო ქართლის სატყეო სამსახურმა - შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

3. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს სააგენტოს.

4. ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს ზემოაღნიშნული N221 დადგენილების 77-ე მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

5. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 66-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის ჭრის ადგილზე დახარისხების შემთხვევაში, ტყითმოსარგებლე ვალდებულია განახორციელოს სამასალე მერქნული რესურსის დაუკოტრავი სახით, ხოლო საშეშე მერქნული რესურსის – დაკოტრილი სახით ტრანსპორტირება და სახეობების მიხედვით დასაწყობება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს ამავე სამსახურს მიღება-ჩაბარების აქტით. მერქნული რესურსის გამოტანა და დასაწყობება განხორციელდეს ფაქტობრივად ჩატარებული ჭრების მიხედვით, ეტაპობრივად, ათი დღის ვადაში

6. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.

8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ ნიკოლეიშვილი

სააგენტოს უფროსი